ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

07 ოქტომბერი 2019 წელი

დადგენილება N 22

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **5** თებერვლის **№5** დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ " (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი , 12/02/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016320).

1.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ"ქვეპუნქტში და დაემატოს ,,ქ.ზ" ქვეპუნქტი :

,,ქ.ზ) სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში -1500 ლარი ."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე